ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №41

11 აპრილი 2023 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, თორნიკე ბიკაშვილი, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი, ნინო წულაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ. **(საკრებულოს №12-032305945-0328.02.2023)**

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.**№11-01230971381 საკრ.№15-032309760-03 7/04/23; №11-01231002612 საკრ.№15-032310076-03 10/04/23; №11-01231004020 საკრ.№15-03231011-03 11/04/23**

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
(საკრებულოს №12-03230973-03 07.04.2023)

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
(საკრებულოს №12-0323096108-03 06.04.2023)

5. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8121 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.011) და 14183 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.009) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №2ბ/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე“ საკითხის შეთანხმების შესახებ **(საკრებულოს №12-03230972-03 07.04.2023)**

6. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-6 კვარტლის კორპუსი №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.002.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **(საკრებულოს №12-03230828-03 23.03.2023**

7. ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) მე-5 კვარტლის კორპუსი №1-ში, (საკადასტრო კოდი: №01.19.27.007.006.01.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე .**(საკრებულოს №12-03230828-03 23.03.2023)**

8. ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუსი №12-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.005.01.076) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.**(საკრებულოს №12-03230828-03 23.03.2023)**

9. ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №31-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.002.011.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **(საკრებულოს №12-03230828-03 23.03.2023)**

10. ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №104-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.105.01.014) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **(საკრებულოს №12-03230828-03 23.03.2023)**

11. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №115-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **(საკრებულოს №12-03230961-03 06.04.2023; №12-032309657-03 06.04.2023)**

12. ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №154-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.36.013.020.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **(საკრებულოს №12-032309658-03 06.04.2023)**

13. ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.018.01.005) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **(საკრებულოს №12-032309658-03 06.04.2023)**

14. ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩა №12-ში არსებული 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.027.003) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მეგისთვის" (ს/ნ. 206077993) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **(საკრებულოს №12-032309665-03 06.04.2023)**

15. ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №650-ის მიმდებარედ, 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სუში მანიასთვის" (ს/ნ. 405252471) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **(საკრებულოს №12-032309663-03 06.04.2023)**

სხდომის თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს, წარდმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგით მე-12 საკითხი „ ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №154-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.36.013.020.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" უკეთ შესწავლის მიზნით ამოეღოთ დღის წესრიგიდან.

დღის წესრიგი დამტკიცდა აღნიშნულის გათვალისწინებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებული და წარმოდგენილია საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" გათვალისწინებით და მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან,

ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით მიღებული და გადარიცხული გრანტების (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები) შესახებ.

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 75,668.4 ათასი ლარი. 2022 წელს ნაშთის ცვლილების (ნაშთის გამოყენება) სახით ასახული იქნა 74,779.5 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 63,014.7 ათასი ლარი.

შემოსულობები _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 493,203.1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 526,019.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.2%. სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია: შემოსავლები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1 388,103.1 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 412,235.6 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101.7% და მთლიანი - შემოსულობების 92.5% შეადგინა. მათ შორის: გადასახადების სახით ბიუჯეტში მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მობილიზებულია 876,745.5 ათასი ლარი (გეგმის 103.2%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2021 წლის ფაქტი – 736,080.7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 140,664.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 296,224.0 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 378.4 ათასი ლარი (მათ შორის 2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების N6024-GEO ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ), ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 295,845.6 ათასი ლარი. სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 236,368.3 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 239,266.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 101.2%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 209,701.7 ათასი ლარი) შედარებით 29,564.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე, სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე და სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) მოდის. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 113,702.7 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 42,004.0 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 11,578.7 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 30,368.7 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარიდან - 56.5 ათასი ლარი, სხვა შენობანაგებობებიდან - 0.1 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 248.1 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 71,450.7 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 67.1 ათასი ლარი, მათ შორის: 65.4 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება), ხოლო სხვა დებიტორული დავალიანების სახით - 1.7 ათასი ლარი. ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 13.8 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების და საგარეო - აქციები და სხვა კაპიტალის სახაზინო კოდებზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას). გადასახდელები საანგარიშო პერიოდში გადასახდელების (ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა, ვალდებულებების კლება) დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1

567,982.6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1 463,004.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93%-ი და აღებული წლიური ვალდებულების (1 524,902.4 ათასი ლარი) 96%-ია. მათ შორის: ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 214,130.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1 180,321.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 80.7%- ია. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 340,841.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 269,673.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 18.4%-ია. ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 13,009.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 13,010.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.9%- ია. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. კერძოდ: საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 22,378.2 ათასი ლარიდან გადარიცხულია 22,088.5 ათასი ლარი. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გამოიყო 1,130.1 ათასი ლარი და გამოყოფილი სახსრების ათვისებამ შეადგინა 1,129.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. მათ შორის: Ø სასამართლოს პროცესის ხარჯების დასაფარად, იურიდიული მომსახურების და სხვა გადახდილი თანხა - 29.5 ათასი ლარი; Ø სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება - 1,100.3 ათასი ლარი. ასევე, წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში სააღსრულებლო ბიუროს საინკასო დავალებით, სახაზინო ანგარიშიდან სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხების სახით ჩამოჭრილი იქნა 0.3 ათასი ლარი. სესხების მომსახურება და დაფარვა სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 16,602.4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (18,367.1 ათასი ლარი) 73.6%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების, საკომისიოს გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5,296.3 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 13,009.9 ათასი ლარი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 438,304.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (447,583.8 ათასი ლარი) 97.9%-ია; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 231,238.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (253,749.2 ათასი ლარი) 91.1%-ია; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 218,450.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (241,434.5 ათასი ლარი) 90.5%-ია; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 16,119.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (16,244.2 ათასი ლარი) 99.2%-ია; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 40,395.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (40,829.0 ათასი ლარი) 98.9%-ია; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 157,256.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (159,157.8 ათასი ლარი) 98.8%-ია; განათლება - 202,133.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (223,425.2 ათასი ლარი) 90.5%ია; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 46,565.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (63,254.8 ათასი ლარი) 73.6%-ია; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 5,139.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (5,217.8 ათასი ლარი) 98.5%-ია; ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 107,403.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (117,086.3 ათასი ლარი) 91.7%-ია.

ბიუჯეტის წლიური შესრულების განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვებზე განმარტეს გაიოზ თალაკვაძემ და ლევან მიქავამ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ,ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ", საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი- ლევან მიქავა

ლევან მიქავას მოხსენებით ,ძირითადი ცვლილება, რაც წარმოდგენილია, არის ვაკის რაიონში „კეთილმოწყობის ღონისძიებების „ პროგრამაში (პროგ/კოდი 02 09 14) წლიურ გეგმაში ცვლილება. კერძოდ ემატება 1 700 000 ლარი. თანხის გადმოტანა ხდენა ისნის რაიონის „კეთილმოწყობითი ღონისძიებების „ პროგრამიდან (პროგ/კოდი 02 09 16).

აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: ტ.ტაბიძის ქ. I შესახვევი №24-ში მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების გააექტიურების შედეგად დაფიქსირდა ფერდის ჩამოშლა და ამ მისამართზე მცხოვრებ ოჯახებს ექმნებათ საფრთხე. საჭიროა დაზიანებულ უბანზე გახორციელდეს საყრდენი კედლის მოწყობა და საჭიროების შემთხვევაში ხიმინჯების მესერის მოწყობა. რაც შეეხება ისნის გამგეობას, მან წერილობით მოიწერა რომ შესაბამის პროგრეამაში აქვს თავისუფალი რესურსი 1 700 000 ლარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული თანხის გამოყენება საბიუჯეტო ცვლილების განხორციელებისას.

საბურთალოს რაიონის გამგეობა წერილობით მომართვაში აღნიშნავს , რომ დასრულდა სამუშაოების შესრულება სოფ.დიღომში ჩარგალეთისს, ბარათაშვილი და ჯავახიშვილის ქუჩებზე. ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი სკვერების მოწყობა ალექსიძის ქ.№2ა-ს, თავდადებულის ქ.№24-სა და პეტრიწის ქ.№15ა-ს მიმდებარედ. ასევე ელოდებიან სპორტული მოედნების რაბილიტაციის სამუშაოების დასრულებას რამოდენიმე მისამართზე და საკმარისი თანხები არ აქვთ შესაბამისის პროგრამების მეორე კვარტალში. ამიტომ „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში(პროგ/კოდი 01 01 13) მეორე კვარტალში ემატება 2 180 000 ლარი და „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამაში (პროგ/კოდი 02 09 15) მეორე კვარტალში ემატება 920 000 ლარი. თანხის გადმოტანა ხდენა მესამე კვარტლიდან.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, ბენეფიციარების დაფიქსირების საჭიროების გამო, პროგრამას „კომუნალური სუბსიდირება „ (პროგ/კოდი 06 02 01) წლიურ გეგმას ემატება 200 050 ლარი, „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მდეკამენტების დაფინანსება" (პროგ/კოდი 06 02 08) შესაბამისად შემცირების ხარჯზე.

ლევან მიქავამ აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებისას შეიქმნა შეზღუდვები. კერძოდ: შეფერხდა სატრანსპორტო სამუშაოების გადაადგილება და დაიტვირთა მიმდებარე ქუჩები. ამიტომ უნდა შეკეთდეს სტანისლავსკის ქუჩის საცხოვრებელი სახლების ეზოებში მიწისქვეშა კომუნიკაციების შედეგად დაზიანებული ასფალტის საფარი, რაც არ იყო გათვალისწინებული დიდუბის რაიონის გამგეობის „გზების მოვლა-შეკეთების"პროგრამაში (პროგ/კოდი 01 01 10). ხდება ამ პროგრამაში მუხლობრივი ცვლილება ."საქონელი და მომსახურების" მუხლიდან 245 000 ლარის გადატანა ხდება მუხლში„ მიმდინარე ტრანსფერი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული"

პროგრამაში „სპორტული ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 08 06 01) დაგეგმილის სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად, მეორე კვარტალში არ არის საკმარისი თანხა, ამიტომ მეორე კვარტლის გეგმას ემატება 379 000 ლარი, მესამე და მეოთხე კვარტლებიდან.

მომხრე-6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ,ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს, ისნის, დიდუბის, ვაკის და ჩუღურეთის რაიონული გამგეობები, ასევე ჯანდცვისა და სოციალური მომსახურების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, **ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა უმღავლესობით გადაწყვიტეს:**

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წესვრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის №23-16 დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, მუნიციპალური ნარჩენების სეპარირების პროცესში მიღებული ნარჩენების მესაკუთრე გახდება მომსახურების გამწევი პირი შპს „თბილსერვის ჯგუფი“, რომელიც განახორციელებს ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, მათ წინასწარ დამუშავებას და შემდგომში ამ დაგროვილი მეორადი რესურსის (მუყაო, პლასტმასი, მინა, ჯართი, ხე) რეალიზაციას და შესაბამისი ღირებულების ამოღებას, ხოლო ამ ეტაპზე არასასარგებლო ნარჩენები კვლავ განთავსდება ნაგავსაყრელ პოლიგონზე.

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 100%-იანი წილის მესაკუთრე არის საჯარო სამართლის პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ მუნიციპალიტეტის საწარმოთა ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი დადგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს სახელმძღვანელო,

სპეციალურ აქტს მუნიციპალიტეტის საწარმოთათვის მათ ქონებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი პროცედურებისთვის.

მომხსენებლის გამარტებით, მითითებული სამართლებრივი აქტი არის უფრო ზოგადი ხასიათის და შესაბამისად, ვინაიდან საკითხი ეხება იმ ქონებაზე აუქციონის გამოცხადებას, რომლის მესაკუთრედაც განსაზღვრულია 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი მუნიციპალიტეტის საწარმო - შპს „თბილსერვის ჯგუფი", აუცილებელია ზემოაღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულირებას მოიცავდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილება, რომელიც არის უფრო სპეციალური წესი მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების მართვა/განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში შედის მითითებული ცვლილებები.

მომხრე-7 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში შედის ცვლილებები. კერძოდ, უძრავი ქონების აუქციონში გამარჯვებულისთვის (ქონების საკუთრების ან/და სარგებლობის უფლებით შემძენისთვის) სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური ნაცვლად 250 ლარისა განისაზღვრება - 350 ლარი, ხოლო მოძრავი ქონების ან/და აქციების/წილების აუქციონში გამარჯვებულისთვის ნაცვლად 20 ლარისა - 100 ლარი.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, იმ შემთხვევაში როდესაც ლოტში შედის რამდენიმე უძრავი ნივთი, უძრავ ქონებაზე საკუთრების და/ან სარგებლობის უფლების აუქციონში გამარჯვებული შესაბამის საფასურთან ერთად გადაიხდის აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასურს – 200 ლარს 100 ლარის ნაცვლად, ყოველ დამატებით უძრავ ნივთზე. მითითებული საფასური ასევე მოიცავს საჯარო რეესტრში უფლების 4 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციის საფასურს.

ირაკლი თავაღქტილაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული ცვლილებების აუცილებლობა გამოწვეულია შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის №93 დადგენილების საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული სარეგისტრაციო მომსახურებისათვის საფასურის ოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად, უძრავ ნივთზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, სახელმწიფო ტყის საზღვრის ცვლილებების, ასევე მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში – 150 ლარი.

მომხსენებლის განმარტებით, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს აუქციონატორი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სააგენტოს მიერ ჩატარებული აუქციონის მომსახურების საფასური მოიცავს საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციის საფასურსაც და მითითებული რეგისტრაციის საფასური გაიზარდა 150 ლარამდე, აღნიშნული განაპირობებს სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასურის ცვლილებას და საფასურის ოდენობა განისაზღვრება საჯარო რეესტრის მომსახურების საფასურის შესაბამისად.

გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტით იზრდება მოძრავი ქონების ან/და აქციების/წილების აუქციონში გამარჯვებულისთვის სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური და მისი ოდენობა განისაზღვრება 100 ლარით 20 ლარის ნაცვლად.

ამასთან, ვინაიდან „ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის №23-17 დადგენილების საფუძველზე, მითითებული აქტიდან ამოღებულ იქნა განვადებით ნასყიდობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები და საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილება აღარ ითვალისწინებს განვადების ნასყიდობის მექანიზმს, სამართლებრივი აქტების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჭიროა საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებიდან ამოღებულია მე-9 მუხლი, რომელიც განვადებით ნასყიდობის საკითხს აწესრიგებს.

მომხრე-6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ,ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8121 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.011) და 14183 კვ.მ. მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.009) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ" თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №2ბ/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე" საკითხის შეთანხმების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, 2022 წლის 2 მაისს შედგა მორიგების აქტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მეორეს მხრივ შპს „მარაგს" შორის, რომელიც დამტკიცდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის N2ბ/348-22 განჩინებით. მორიგების აქტის შესაბამისად, შპს „მარაგი" თანხმობას აცხადებს მიიღოს 870 000 აშშ დოლარის ღირებულების მქონე უძრავი ქონება/ ქონებები ეტაპობრივად, ერთი წლის განმავლობაში. ამასთან კომპანია უარს აცხადებს სასარჩელო მოთხოვნაზე და შემდგომ ნებისმიერ დავაზე მითითებულ საკითხთან

დაკავშირებით. მორიგების აქტის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება კომპანიის მიმართ, შეურჩიოს მას 870 000 აშშ დოლარის ღირებულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება/ ქონებები. კომპანიამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების ნაწილობრივ აღსრულების მიზნით, 2022 წლის 8 ივლისის საკრებულოს განკარგულებით საკუთრებაში მიიღო ქონებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვალოს 314 აშშ დოლარი ოდენობით. 2020 წლის 19 დეკემბერს შპს „მარაგის" დირექტორმა კონსტანტინე ჯორჯიკიამ განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მოითხოვა დარჩენილი თანხის ფარგლებში ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8121 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.72.16.104.011) და 14183 კვ.მ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: 01.72.16.104.009) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ" თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისისN2ბ/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის აღსრულების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 6 აპრილის N23.468.542 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებული 8121 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.72.16.104.011) და 14 183 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.72.16.104.009) მიწის ნაკვეთების კომპანიის საკუთრებაში გადაცემა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი დასკვნის შესაბამისად, აღნიშნული მიწის ნაკვეთების ჯამური ღირებულება შეადგენს 757 454 აშშ დოლარს, რაც 201 995 აშშ დოლარით აღემატება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებას - 555 460 აშშ დოლარს. კომპანია თანახმაა ღირებულებებს შორის სხვაობის გადახდაზე. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

მომხრე-6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ,ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-6 კვარტლის კორპუსი №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.002.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-6 კვარტლის კორპუს N13-ში, პირველ სართულზე მდებარე 92.81 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.002.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ელისო წულაიას (პ/ნ 55001010159) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ ელისო წულაია ოჯახთან ერთად 8-10 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ელისო წულაია ოჯახთან ერთად 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

მომხრე-7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) მე-5 კვარტლის კორპუსი №1-ში, (საკადასტრო კოდი: №01.19.27.007.006.01.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) მე-5 კვარტლის კორპუს N1-ში, მეშვიდე სართულზე არსებული 72.74 კვ.მ ფართი, ბინა N16-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.006.01.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნათელა ჩემიას (პ/ნ 01027066131).
შსს-ს ცნობით დგინდება, რომ ნათელა ჩემია 20 წელზე მეტია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ნათელა ჩემია მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1985 წლიდან.

მომხრე-7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუსი №12-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.005.01.076) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, (ყოფილი საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუს N12-ში, მეშვიდე სართულზე მდებარე 89.11 კვ.მ ფართი ბინა N76-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.005.01.076) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მაია ნორსოიანცის (პ/ნ 01028006195) , რომელიც შსს-ს ცნობით დგინდება, რომ ოჯახთან ერთად 16 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მაია ნორსოიანცი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე 2005 წლიდან.

მომხრე-7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №31-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.002.011.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში, მესამე სართულზე არსებული 70.77 კვ.მ ფართის ბინა N8-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა, მოქალაქე თეა ფიფიას (პ/ნ 51001002913) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით დგინდება, რომ თეა ფიფია ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2005 წლიდან. ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ თეა ფიფია ოჯახთან ერთად 15 წელზე მეტია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №104-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.21.002.105.01.014) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N104-ში, მეორე სართულზე არსებული 38.69 კვ.მ ფართის ბინა N14-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.105.01.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლაშა გვიჩიანს (პ/ნ 12001070215) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდა, რომ ლაშა გვიჩიანი 2006-2007 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

მომხრე-7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №115-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე
ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირ N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებნაში გადაეცემა 12 ოჯახს. მოქალაქეები შსს და მეზობლების ცნობით დასტურდება რომ 1982-86-92-93--97 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ ფართებში. 12 ოჯახს საერთო ჯამში გადაეცემათ - 372.92 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.
მომხრე-7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.018.01.005) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
ირაკლი თავარტქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N14-ში, პირველ სართულზე არსებული 49.96 კვ.მ ბინა N5-ი (საკადასტრო კოდი: კოდი: N01.19.19.005.018.01.005) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა , მოქალაქე ზურიკო დუღაშვილს (პ/ნ 12001047825)
შსს-ს ცნობით დგინდება, რომ ზურიკო დუღაშვილი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2009 წლიდან, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მოქალქე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2008 წლიდან.

მომხრე-7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩა №12-ში არსებული 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.027.003) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მეგისთვის" (ს/ნ. 206077993) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე
ირაკლი თავრთქილაძის მოხსენებით, შპს „მეგის" (ს/ნ: 206077993) დირექტორმა განცხადებით ითხოვა ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ში არსებული 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.027.003) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია იჯარის უფლებით 2024 წლის 20 ოქტომბრამდე ვადით ფლობს ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართი 67.16 კვ.მ და მიწისქვეშა მაგებობა 253.75 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.18.03.027.003).
მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს . აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიციის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩა N12-ში არსებული 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.027.003) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 22200 ლარის ოდენობით, იჯარის მოქმედების პერიოდი 5 წლის ვადით.
მომხრე-6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ,ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.
მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №650-ის მიმდებარედ, 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სუში მანიასთვის" (ს/ნ. 405252471) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავრთქილაძის მოხსენებით, სს „სუში მანიას“ (ს/ნ:405252471) წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N650-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.13.038.058) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქ.თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N65ი-ში მდებარე კახი ბერიძის და საბა ბერიძის საკუთრებაში არსებული 79 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.17.13.038.013) 2024 წლის 1 აგვისტომდე ვადით.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დადებითი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება, „ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N650-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით, სსს „სუში მანიასთვის“ (ს/ნ:405252471) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 2024 წლის 1 აგვისტომდე ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად 8 280 (რვა ათას ორას ოთხმოცი) ლარი.

მომხრე-6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ,ანა გოგოლაძემ. თორნიკე ბიკაშვილმა, საბა ბუაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**